ჩვენი რუბრიკის დღევანდელ სტუმარს, პარაფსიქოლოგ მკვლევარ-მკვლევარს, საზოგადოება ტელეკომპანია „მზის“ სატელევიზიო პროექტიდან იცნობს, სადაც ექსტრასენსიბილ საჯაროდ ავლენდნენ მეექვსე გრძობას რთული ექსპერიმენტებით. ქალბატონი ევა ჩვენი რუბრიკის სტუმარია.

— როცა მიღმიერ სამყაროში იყავით კომპი ყოფნის დროს, იქ გითხრეს, რომ, როცა დაბრუნდებით, ხალხს უნდა დაეხმაროთ ნათელმხილველობით? — ეს ძალიან პირადულია და საზოგადოება მზად არ არის ამ თემებზე სასაუბროდ. ამიტომაც არაფერი მითქვამს ჩემი მიღმიერ სივრცეში გასვლის შესახებ, არც ხილვების განდობა სწორი. გაგიმხელთ მხოლოდ იმას, რომ, როცა დაგებრუნდით და გამოვჯანმრთელდით, სხვა შეგრძნებები გამიჩნდა და ნებისმიერ ადამიანზე, ვინც ჩემ წინ იდგა, ვისაც ვხედავდი, მენოდებოდა ინფორმაცია მის შესახებ დროის სამივე განზომილებაში, რაც, რასაკვირველია, საინტერესო არ იყო. რატომ უნდა ვიცოდე ის, რაც არ მეხება და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის. ძალიან მგლიძა ზედმეტი და არასაჭირო ინფორმაციის ნაკადი და ღმერთს ვთხოვდი, ეს უნარი ჩამიხსვე-მეთქი. დღესაც გრძელდებოდა ეს სათხოვარი და ერთხელაც მქონდა ხილვა, რომ ეს ყველაფერი უბრალო შემთხვევითობა არ გახლავთ და ამ ნიჭის გამოყენება შეიძლება გარემომყოფთა სასიკეთოდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მათთვის, ვინც საჭიროდ თვლის

ლებსა და ოფისების ენერგეტიკულად განმენდა, დაუსტებულ და დაბინძურებული აურის გასუფთავება, იმიტომ, რომ თქვენში და თქვენს სამყოფელში სიკეთემ, სიმშვიდემ და ბედნიერებამ დაისადგუროს. კარგი იქნება, თუ ფენ შუისაც დაემონაფებით და ცვლილებებს შეიტანთ საახალწლოდ თქვენს ოჯახებში, ეს გარანტია გახდება იმისა, რომ ახალი წელი ახალ-ახალ მიზნებსა და ოცნებებს აგიხდენთ. — ბედ-ილბლის კორექცია შესაძლებელია? — ამ კითხვის პასუხად ერთ შემთხვევას გიამბობთ, რომელიც ოთხი წლის წინათ მოხდა. პირველ რიგში, ყველა ადამიანს ვურჩევ, არ შეეგუოს არასასურველ და უსიამოვნო მდგომარეობას, მე მყავდა პაციენტი, რომელსაც ვუთხარი, რომ ჯადო ჰქონდა გაკეთებული და დაუყოვნებლივ საჭირო იყო მისი განვითარება. სხვათა შორის, მეუღლეს

დამიჯერებთ-მეთქი და მის მეუღლეს ვთხოვე, რამდენიმე წუთით ჩემთან დარჩენილიყო. კარგად მახსოვს, ოქტომბერი იყო და რიცხვებიც მივუთითე, ვთხოვე, ეცადეთ, თქვენი მეუღლე მარტო არ დატოვოთ, დიდი რისკ-ფაქტორია თვითმკვლელობისა-მეთქი. კაცმა მწარედ და ირონიულად გაიღიმა და უსიტყვოდ დატოვა ჩემი სამუშაო ოთახი. როგორც ჩანს, სულელობით მოჩამხვდა დამნაშა და გაიფიქრა, ვილაც აფერისტიანო, როგორც მისმა ცოლმა. როგორც გითხარით, მათ ელოდათ ამ ქალბატონის

ის ტრაგედია ამოიცნო... მოკლედ, ბედის კორექცია ვერ შეეძლო, მაშინ, როცა თავისუფლად შემეძლო განეიტრალება. რომ არა მოწმედ იმ ქალის ქმარი და და, რომელსაც სიფრთხილისაკენ მოვუწოდებ, ვერავის დავაჯერებდი, რომ ჩემი კლიენტისთვის მხოლოდ სიკეთე მინდოდა და არა ფულის შოვნა ჯადოს მოხსნით. მე ვხედავ ბედის კორექციის გზებს და შესაძლებლობებს, უქორწინებლის გვირგვინს, ბედნიერების მიზეზს, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ბევრი ადამიანი უჩივის უიღბლობას ბედნიერების გამო, რომ მათ ვერ ამჩნევენ. ყველაფერი ეს ჯადოს მიზეზი არ გახლავთ, მაგრამ მის საინფორმაციო ველში აუცილებლად ჩანს სასიკეთო ცვლილების თვით ოპტიმალური პერიოდი, გზები და ხერხები, თუ რა თქმა უნდა, დამიჯერებენ. — იმ ქალის თვითმკვლელობით მაინც თუ შეწყდა ჯადოსგან გამოწვეული უსიამ-



კეთილობის გამო, რომ მათ ვერ ამჩნევენ. ყველაფერი ეს ჯადოს მიზეზი არ გახლავთ, მაგრამ მის საინფორმაციო ველში აუცილებლად ჩანს სასიკეთო ცვლილების თვით ოპტიმალური პერიოდი, გზები და ხერხები, თუ რა თქმა უნდა, დამიჯერებენ.

„ამ ქალბატონის ქმარი გავაფრთხილე, კონკრეტული თარიღების ვუთხარი, — ცოლი არ დატოვო მარტო, თვითმკვლელობაზე ფიქრობს-მეთქი... არ დამიჯერეს და ორ კვირაში ქალმა თავი მოიკლა“

— 30 წლის წინათ ჩემი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა და ჩემს გადარჩენას ვინც მე მიცნობს, სასწაულად მოიაზრებს. მოკლედ, კომპი ყოფნამ მიღმიერი სამყაროდან უცნაური ნიჭით აღჭურვილი დამაბრუნა. მე დღეს არ მოგიყვებით იმ ბანალურ ისტორიებს, რასაც კლინიკური სიკვდილის შესახებ ჰყვებიან, რა განიცადეს და რა ნახეს, რაც შეეხება კომიდან მიღებულ საჩუქარს, რაც უამრავმა ექსპერიმენტმა და 30-წლიანმა სამუშაო პრაქტიკამ დაადასტურა, მგონი, სკეპტიციზმის საფუძველი არ გვაქვს. — ქალბატონო ევა, თქვენ ტელეკომპანია „მზის“ ადგილობრივად, მიუხედავად იმისა, რომ მალე დაგატოვებინეს მეექვსე გრძობის გამოვლენის საშუალება, მაინც რეიტინგულ ექსტრასენსიბლ დარჩით და მრავალი საოცრების მოწმე ხართ. გვიამბეთ იმ ანომალიურ მოვლენებზე, რაც თავს გადაგხდა. — პროექტი „მექვსე გრძობა“ დაახლოებით თვე-ნახევარში დამატოვებინეს და კონკურენტ ექსტრასენსიბლს არ გასჭირვებიათ იმის აღიარება, რომ ჩემი თავიდან მოშორება სასწრაფოდ იყო აუცილებელი როგორც ძლიერი მეტოქის, მაგრამ ფინალისტებთან ერთად მეც მიმიწვიეს უკრაინაში, სადაც მსოფლიოში ცნობილ ნათელმხილველებს უნდა შეეჯიბრებოდნენ. — მართალია, რომ ასეთი კონკურსების დროს ექსტრასენსიბლს ჯადოებს უკეთებენ ერთმანეთს წინსვლაში დასაბრკოლებლად? — ვინც ასეთ პროექტებში მონაწილეობს, მეტ-ნაკლებად ყველამ იცის ჯადოსა და ენერგოზემოქმედების განეიტრალების მექანიზმი, მაგრამ შური და მტრობა თავის საქმეს მაინც აკეთებს. თუ ექსტრასენსიბლს ჰყუა ჰყოფნის, რაც არ უნდა ერკვეოდეს შვედში, ბოროტი საქმეებით ხელი არ უნდა გაისვაროს, რადგან მისი შთამომავლობა სასტიკად დაისჯება.



ნათელმხილველის მომსახურებას. — ექსტრასენსიბლს რას იტყვით, ეს ცოდნაც ნათელმხილველი მიიღებს? — ექსტრასენსიბლსაც გახლავთ სამკურნალო ენერგიით მკურნალობის მეთოდები, რომელიც საგანგებოდ შევისწავლეთ. ნათელმხილვის უნარი სხვა არაფერია, თუ არა იმ იდეალური ცოდნის მიღება, რაც პარაფსიქოლოგის საქმიანობაში შედის, მაგრამ პარაფსიქოლოგია მეცნიერება გახლავთ, რომლის შესწავლას სიფრთხილე უნდა. მე უამრავი პარაფსიქოლოგი კოლეგა მყავს, ვისაც ნათელმხილვის უნარი არ აქვს, მაგრამ თუ აუხსენი, რა გაგჭირვებია და რისი მიღება გინდა წუთისოფლისგან, შესანიშნავად მოგიგვარებენ პრობლემებს, ისევე როგორც ფსიქოლოგი დაგეხმარებათ, თუ აუხსენით, რა განუხებთ, მაგრამ როცა პარაფსიქოლოგს უტყუარი წინათგრძობის ნიჭი აქვს, და თუ ნათელმხილვის უნარსაც ფლობს, მაშინ უფრო იოლი და შეუმცდარი ხდება ყველა ის მეთოდი, რაც პარაფსიქოლოგმა თქვენთან ურთიერთობის დროს აირჩია. მე ვიცნობ ნათელმხილველებს, ვისაც მაგიური და პარაფსიქოლოგიური ცოდნა არ გააჩნია, მაგრამ მათი ნდობა ბოლომდე შეიძლება იმიტომ, რომ ხედავს როგორც პრობლემას, ასევე, მისი მოგვარების ყველა ოპტიმალურ შესაძლებლობას... ახლოვდება ახალი წელი, არა მხოლოდ საჭირო, არამედ აუცილებელია საცხოვრებელი სახ-

ჰყავდა მოყვანილი და ისიც ესწრებდა ჩვენს საუბარს. როცა ეს ვუთხარი, ქალმა მიხსრა, სად უნდა ვიპოვო ჯადო, რომ გავანეიტრებო, ადგილ-სამყოფელი მითხარიო. მე აუხსენი, რომ მის მიმართ რიტუალი იყო ჩატარებული დისტანციურად და ჯადოს ვერ მიაგნებდა. თვითმკვლელობის კოდი დაგინახე ქალში ჩადებული მის მიმართ გაკეთებული ჯადოთი, თუ რატომ, ეს ნაკლებად

„ნებისმიერ ადამიანზე, ვინც ჩემ წინ იდგა, ვისაც ვხედავდი, მეწოდებოდა ინფორმაცია მის შესახებ დროის სამივე განზომილებაში... ძალიან მგლიძა ეს ზედმეტი და არასაჭირო ინფორმაციის ნაკადი და ღმერთს ვთხოვდი, ეს უნარი ჩამიხსვე-მეთქი“

საინტერესოა მკითხველისთვის და ამ ისტორიის მოყოლით თავს არ მოგაბერებთ. ეს ქალბატონი გახლავთ ძალიან განსწავლული და წარმატებული სამსახური ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითმკვლელობის სურვილი აეკვიტა, ჰყავდა წესიერი მეუღლე და შვილები, ერთი შეხედვით, რომ არა ავისმოსურნეთა გამეტება და ჯადო, სხვა არაფერი ჰქონდა საიმისო, რომ თავი ცუდად ეგრძნო. ჩემთან თავისი დის დაჟინებული თხოვნით მოვიდა, რომელიც გრძობდა იმ ქალის მოახლოებულ საფრთხეს. მისი და არ დასწრებია ჩვენს საუბარს, გარეთ მანქანაში ელოდებოდა. როგორც კი დავინახე ამ საწყალი ქალის სასონარკვეთა, რომელიც ნივთმტკიცებას მთხოვდა ჩემი სიმართლის დასადასტურებლად, სხვა ვერაფერი ვუთხარი, გარდა იმისა, რომ ნება თქვენია, თუ არ

ტონის და, რომელიც საჭეს მართავდა, მას კარგად ვიცნობდი და მქონდა მისი ტელეფონის ნომერი. ამ ცოლ-ქმრის ვიზიტმა და მათმა ურწმუნობამ ცუდ ხასიათზე დამაყენა, დაფურეკე იმავე დღეს გვიან საღამოს და ჩემი სტუმრის რისკ-ფაქტორზე ვუთხარი. თქვენ ჯვარი გწერიან და სულ რაღაც ორ კვირაში ამ ქალმა თავი მოიკლა. თვითმკვლელობის

ფორმაც არ მინდა გესაუბროთ, არ მინდა მათმა შვილებმა ნაკითხონ გაზეთი და ჩემს მონათხრობში ოჯახ-

ონებები მათ ოჯახში? — თქვენ წარმოიდგინეთ, შეწყდა, რადგან ჯადოს შინაარსი მხოლოდ ქალის თვითმკვლელობაზე იყო მიმართული, მაგრამ მისი ცუდ ხასიათზე ყოფნა, მისი უმიზეზო ჭირვეულობა, მთელი ოჯახის სასიკეთო წინსვლას აფერხებდა. დღეს ამ ქალბატონის შვილები ძალიან წარმატებულები არიან, მეუღლემაც განაგრძო ცხოვრება და აქვს მნიშვნელოვანი ადგილი საზოგადოებაში და რაც მთავარია, იმ ქალის კლანჭებიდან გადავარჩინე, ვინც მისი ხელში ჩაგდებასთვის გაიმეტა მისი ცოლი თვითმკვლელობისთვის. უსიამოვნება და პრობლემები, რაც შეიძლება ადამიანს თავს დაატყდეს, მხოლოდ ჯადოსგან გამოვლენილი არ გეგონოთ, ეს შეიძლება იყოს თანდაყოლილი კარმის შედეგი, დასახურებული, ან წინაპართა ცოდვებით დამძიმებული მდგომარეობა, მაგრამ თუ ადამიანი ეცდება, რომ გაიგოს ოჯახის უსიამოვნების გამოწვევი მიზეზი და წარუმატებლობის ილბლით ჩანაცვლებას გადაწყვიტოს, ყველას ვბრძობ, მათ დახმარებას პირადად მე შევძლებ.





ენი ლაპარაკსა 571 99-92-33



მაღაზიებთან შედრებით, იდეალური პირობები და ხელფასი მაქვს და ამიტომ დავრჩი აქ. ეს ერთადერთი სამსახურია, სადაც სამი წელი გავეჩერდი. — ხელფასი რამდენი გაქვს? — მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ ყველაზე კარგი, რაც ამ სფეროში შეიძლება იყოს (იცინის). — რა ფასებია თქვენთან? მაგალითად, თქვენთან ფეხსაცმ-

მაქვს ნანახი და ჩვენთან ისეთივე ჩექმის ყიდვა 500 ლარიც არ ჯდება. — შენი სამუშაო გრაფიკი როგორია? — ძირითადად, ცხრასათამაშო საშუალო გრაფიკია. ხან დილიდან საღამოს 6 საათამდე ვარ, ხან შუადღიდან ღამის 10-მდე. საკმაოდ კარგი გრაფიკია, სადმე წასვლა თუ დაგჭირდა, სამუშაო საათების მიხედვით თავისუფლად დაგეგმავ.

გრიგოლია შემოსულა... ეს რაც ახლა გამახსენდა. კონკრეტულად ჩემს ცვლაში არ მინახავს, რომ მათ ფეხსაცმელი ეყიდათ, მაგრამ, ალბათ, ყიდულობენ, ან უბრალოდ დასათვალიერებლად შემოსულან. — ლუკა, მუშაობის პარალელურად, ხომ არ სწავლობ სადმე? — არა. 14 წლამდე სკოლაში ვსწავლობდი, შემდეგ თოიძეს სამხატვრო აკადემიის

ლედ, ბევრგან ვიმუშავე. — ბავშვობაში რაზე ოცნებობდი? რა გინდოდა გამოსულიყავი? — ამაზე არ მიფიქრია... ან შეიძლება მიფიქრია და უბრალოდ არ მახსოვს. დღეს დღეობით, დღევანდელი დღით



პროფესია

სანიშნავი ფრაზა: 5 წუთი სწორ გზაზე მოტოციკლეტით სიარული შეიძლება ბევრად საინტერესო იყოს, ვიდრე ადამიანის მთელი ცხოვრებაო. მართალია, რა... ეს მარტო ადრენალინი არ არის, ჩათვალე, მოტოციკლეტი შენი სხეულის ნაწილია.

— თავისუფალ დროს, იმის გარდა, რომ მოტოციკლეტით დაქრისარ, კიდევ რით ერთობი?

— თავისუფალ დროს, ძირითადად, ვისვენებ, რადგან ჩემს ხელფასთან შესაბამისი შრომა არის დაკავშირებული, რა თქმა უნდა. ამიტომ, ძირითადად, სახლში ვარ, მუსიკას ჩავრთავ, ლუდს დავვლე და ვისვენებ ყველაფრისგან.

— შეყვარებული თუ გაყავს?

— სამწუხაროდ, არა, რადგან დღევანდელი გოგოები-სგან იმედგაცრუებული ვარ. ადამიანობის, ურთიერთობის ფასი არ იციან. ისეთები მსმენია და განმცდია, რომ სერიოზულ ურთიერთობას ვერ იღებენ, თუმცა, რა თქმა უნდა, სურვილი მაქვს, გვერდით საყვარელი ადამიანი მყავდეს.

— დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე რას ფიქრობ? მოდი, ცოტათი ამ თემასაც შევეხოთ. რა მოგნონს?

— მოსაწონი დღეს არაფერია და ვფიქრობ, ტყუილად შემოვხაზე 41 იმ იმედით, რომ რამე შეიცვლებოდა. ძალიან უცნაურ რამეს ვიტყვი, მაგრამ იცი, მე ისევ მირჩევნია, ფული წამართვან, დედა მიტირონ, მაგრამ ქვეყანაში რაღაც მაინც გაკეთდეს, რა და ხალხს ყურადღება მიაქციონ. ამათ ფულის გათეთრებაც არ იციან, ამაშიც უმაქნისები არიან — ტიპებმა ახალი მანქანები ჩამოიყვანეს და ამით ვითომ ფული გაათეთრეს, არ მახსოვს იმ თანამდებობის პირის ვინაობა, კარგად არ ვიცი ამათი სახელები და გვარები, მაგრამ რა ჩემი...ლე მოტყეს იქიდან? ალბათ, ვერაფერი, იმიტომ, რომ ამაშიც კი უტვინოები არიან, რა. დღეს წავიკითხე (ინტერვიუ ჩანერილია 28 ნოემბერს. — ნ.ლ.), 15 წლის ბავშვი დაჭრეს „თავისუფლების მეტროსთან“ იმის გამო, რომ ანგარიშზე სალაპარაკო არ ჰქონდა... ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთ, ალბათ, ხო? მაგარია...

— მაშინ მოდი, ჩვენი საუბარი ასე დავამთავროთ: ახალგაზრდებს რას ეტყობი?

— უფრო მეტი სიყვარული, პოზიტივი და ერთმანეთის პატივისცემა ჰქონდეთ, რაც მთავარია. იცოდნენ ერთმანეთის დაფასება, მეგობრობა, რადგან გამოცდილი მაქვს, დღესდღეობით ნაღდი მეგობრობა ძალიან რთულია.

„ტყუილად უამოვხაზე 41 იმ იმედით, რომ რამე შეიცვლებოდა“

ერთად ავიხდინოთ მართული ოცნება!

„მე ისევ მირჩევნია, ფული წამართვან, დედა მიტირონ, მაგრამ ქვეყანაში რაღაც მაინც გაკეთდეს, რა და ხალხს ყურადღება მიაქციონ... ამათ ფულის გათეთრებაც არ იციან, ამაშიც უმაქნისები არიან“

მუშაობს. როგორია მისი ერთი სამუშაო დღე? რომელი ცნობილი ადამიანები შედიან მასთან მაღაზიაში და რას ფიქრობს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე? „კვირის ქრონიკას“ ლუკა ელიაძე ესაუბრება: — ლუკა, როგორ მოხვდი ამ სფეროში? — ზუსტად ის ვარიანტია, როცა სამსახურს ეძებ და სხვა გზა არ გაქვს, თუმცა გულახდლილად მინდა გითხრა, მართლა ძალიან მაგარი სამსახურია იმ მხრივ, რომ სხვა

ლის ყველაზე იაფი და ძვირი ფასი მითხარია. — როგორ არის, იცით? სიტყვაზე, მინიმუმი არის 80 და აღის ოთხასრამდე ლარამდე. ბევრისთვის ეს შეიძლება, ძვირად ჩანდეს, მაგრამ ძალიან ბევრ სხვა მაღაზიაში რომ შეხვიდე, ფასებში სხვაობას მართლაც დაინახავ. ჩვენი მაღაზია ბრენდულია და ამ გაგებით, ძალიან დაბალი ფასები გვაქვს აქ, სხვა ბრენდულ მაღაზიებთან შედარებით. ერთ ჩვეულებრივ ბუტიკში ჩექმა 800 ლარი ღირდა, მე თვითონ

— კლიენტებს რამე უჩვეულო თხოვნები თუ ჰქონიათ? ან რამე სახალისო ამბავს ხომ არ გაიხსენებ? — ამდენი წლის მანძილზე ძალიან ბევრ ადამიანს ხედავ, „ამულაბებ“ და ხედავ, ვის რა ფეტიში აქვს, ვის რა უნდა... ყველანაირი კატეგორიის ადამიანი შემოდის და ყველას თავისებური ფსიქოლოგია აქვს, რასაც საკმაოდ კარგად ვხვდები. — ცნობილი ადამიანები თუ შემოდიან ხოლმე? — მერაბ სეფაშვილი, ინგა

კოლეჯში ვსწავლობდი არქიტექტურაზე, მერე გამოვედი. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, 14 წლიდან დღემდე სულ ვმუშაობ. — შენი პირველი სამსახური რა იყო? — თბილისის მერიის შენობაში კაფე იყო გახსნილი პერსონალისთვის და იმ კაფეტერიაში ვმუშაობდი. მას მერე ძალიან ბევრი სამსახური გამოვიცვალე სხვადასხვა სფეროში, მიმტანიც ვყოფილვარ, ბარმენიც, მცხობელც... მოკ-

ვცხოვრობ, არ ვფიქრობ, ხვალ ვინ ვიქნები. შეიძლება, ეს იმიტომ, რომ ცოტათი მაშინებს ეს თემა, მაგრამ ფაქტია, დღეს ისე ვცხოვრობ, როგორც შემოიძლია. — შენი ჰობი რა არის? — მოტოციკლეტი (იღიმის). ეს არის ჩემი ყველაზე უდიდესი განტვირთვა, ყველაზე მაგარი ანტიდეპრესანტი. როდესაც ვორბობაზე ვვარდები, ეს უმაგრესი შეგრძნებაა, ყველაფერს გავიწყებს, რაც კი განუხებს. ერთ ფილმშია შე-



მაია იასაშვილი 599 94-64-58

20 ნოემბერს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზა-ში“ ჩატარდა ლეილა ლაბაშვილის შემოქმედებითი საღამო. პოეტი, კომპოზიტორი და ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი, ჩვენი რუბრიკის სტუმარია.

ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, როგორც ყველას, მეც მჯეროდა ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების, წარმატებები თავისთავად მოვიდა,

ვილი. დღესაც ჩამემსის ყურში ის დაუვინყარი ხმები, რაც შემდგომ ჩემში ახშიანდა. მათე კლასში ვიყავი, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ქება ვაზისა“ რომ ჩატარდა თელავში, ამ ფესტივალს ესწრებოდნენ არა მარტო ქართველი კორიფეები, არამედ მუსიკოსები მთელი მსოფლიოდან, ჩემი წარმატებებთან გაზინაურებაც ამ დღიდან დაიწყო. ათასამდე მაყურებელი შეკრებილიყო დარბაზში, ამდენი ხალხი რომ დავინახე, კინაღამ გული ამომივარდა და როცა „ოროველა“ ჩემელი იმპროვიზაციით ვიმღერე, დარბაზი დაინგრა... ყველაზე დიდ ჯილდოდ მიმანჩია ჰამლეტ გონაშვილის შეფასება, მას პირველად შევხვედი სტუდენტობის დროს ალავერდის ტაძარში, სადაც ანსამბლმა „რუსთავმა“, ჰამლეტ გონაშვილმა და მე, პედაგოგიურ ანსამბლთან ერთად, ერთი და იგივე სიმღერები შევასრულეთ. ბატონ ჰამლეტს ჩემი სიმღერის დროს თვალი ცრემლით ჰქონდა სავსე, ისიც გულში მიხუტებდა და იმპროვიზაციას მიქებდა. ერთ-ერთ საიუბილეო საღამოზე, სადაც ბატონი ჰამლეტი იყო სტუმართა შორის, თქვა, - თქვენი ისეთი მგალობელი გყავთ, მე დღეს აღარ ვიმღერებო. მრცხვენია კიდევ მისი ნათქვამის გამეორება, ბატონი

წლის წინათ თბილად დამემშვიდობა, გავიდა სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა, ვერც ცოცხალს მივაგენი და ვერც გარდაცვლილს. უფროსი შვილი ანა 10 წლის მყავდა მაშინ, უმცროსი გიორგი კი - მხოლოდ 1 წლის. წლების შემდეგ შემომთავაზეს, ბავშვებს უმამობის პენსია დაუნიშნო, უარი ვთქვი, ზურას გარდაცვლილად ვერ გამოვაცხადებ-მეთქი, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და ჩემთვის მისი სახლის კარი დღესაც ღიაა. უამრავი ლექსი და სიმღერა მიქმდებოდა ამ ტკივილს და ვერ დავუშვი, მისი ადგილი ვინმეს დაეკავებინა ჩემს ცხოვრებაში.

სხვის ირეკლავდა სარკესავით და ამ სხივით ვახერხებდი ბრბოს შეჩერებას. ამ დროს წმინდანი გამომეცხადა და ბავშვზე მითხრა, აიყვანეო. დღესაც მახსოვს იმ ბავშვის სახე, ძალიან ჰგავდა ჩემს გიორგის. უფრო სწორად, გიორგის ბავშვობა ვნახე ერთი წლის ასაკში, რაც დაბადებამდე დამესიზმრა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ის განსაცდელი ჩემი ძმისა, რაც ხილვის დროს მიამბეს. უამრავი ძალისხმევა დამჭირდა მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, მაგრამ მჯეროდა, ღმერთი უდანაშაულო ძმას არ გამინირადა. ისიც მჯეროდა, რომ მის დახმარებას შეეძლებოდა. ამ დროს გაირკვა, რომ შვილს ველოდებოდი. დიდთოვლობისას 1992 წელს ერთადერთი ლამაზი აინთო გაყინულ საავადმყოფოში და ჩემი გიორგი დაიბადა და რაც არ უნდა სასწაულად მოგეგვეოთ, ერთადერთ რამეს ვნატრობდი მხოლოდ, ჩემს ძმას შემოელო ჩემი პალატი კარი, რომელიც უდანაშაულო, შემთხვევითობის გამო სხვის ნაცვლად

ენებს ამ ტაძრის მღვდელმთავარი. ზუსტად ასეთი ორი კოფი კი სახელმწიფო მუზეუმებში ყოფილა დაცული.

წინასწარმეტყველთან თუ ყოფილხართ და მისი ნათქვამი თუ ატყვადებია?

არა, წინასწარმეტყველის ნათქვამი არ ამტყობია, რისიც მჯერა და ბოლომდე ვარ მიყურადებული, ჩემი ინტუიცია და სიზმრები. ერთხელ დამესიზმრა, სუბივილიების დისკზე ჩემი ფოტო ეხატა, იპოინიდან ჩამოვიდა ვაჟთა უცნობილესი ანსამბლი „რუსთავის“ სიმღერების შესასწავლად, ამ პერიოდში ჰამლეტ გონაშვილი უკვე აღარ იყო ცოცხალი და შესთავაზეს ჩემი ნამღერის მოსმენა



„სახლთაგანის ღამის მუსიკა, სახიარო ღმერთი შემოვიდა ჩემს სახლში, თეთრი კაბა ჩამავსა და ჯვარი დაეკიდა, მითხრა, ნადი და ადამიანებს უთხარი, ღმერთი იწამონ“



ჰამლეტის ნათქვამის საპირ-წონედ მეც ცრემლები მომადგა უნებურად. — ქალბატონ ლეილა, ჰოროსკოპით ვინ ხართ და განვითარდა თუ არა თქვენი ცხოვრების გზა ასტროლოგიების და წინასწარმეტყველებების მიხედვით? — ასტროლოგია არ გახლავთ ის სცენარი, რომლის

ჯვარი დამკიდა, მითხრა, ნადი და ადამიანებს უთხარი, ღმერთი იწამონ. ამ სიზმარში უწინადადობის შეგრძობა მქონდა და დავფრინავდი, გზად შემხვედრად ამიანებს ვეუბნებოდი, ღმერთი იწამეთ-მეთქი. მიმხვედრა, რომ ჩემს ძმას განსაცდელი შეემთხვეოდა და მხოლოდ მე შემეძლო მისი შევლა. თუ მას დავეხმარებოდი, აუცილებლად დამაჯილდოვებდა კიდევ ერთი შვილის დედობით. ამ



და შესწავლა. ალავერდის ტაძარში უნდა მომხდარიყო ჩანერა, შემდეგ გადღებისთვის იყალთოს აკადემიაში გადაინაცვლეს. სწორედ ამ დარბაზში, სრულიად შემთხვევით ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი დაეცნნენ ჩემს ჩანერას და თანამშრომლობა შემომთავაზეს. ცეკვების შუალედში მთხვევს, მეძღერა, თუმცა ეს თანამშრომლობა არ შედგა გარკვეულ გარემოებათა გამო, მაგრამ მათგან ნამოსული ინფორმაცია სიზმრისეული გაფრთხილებით მივიღე და ამგვარ წინასწარმეტყველებათა გამო შემთხვევითობას გამოვიცხავე.

ქალბატონ ლეილა, სასწაული ისიც, რომ დაუსლტით ერთ-ერთ მძიმე დაავადებას...

დღეს ავადმყოფობაზე არაფერს ვიტყვი და არც მასთან შებრძოლებაზე საუბრით შეგანუხებთ, ჩემი სახელობის ღვინოები ჩამოიხსა - „პეტრიაშვილების მარანი“, „ალავერდი და მეგობრები“, „კახეთი 3000“, მე დღეს თქვენთან ერთად ვადღერძებ სიცოცხლეს, დავლევ სიცოცხლის სადღეგრძელოს თავისი აღმართით და დაღმართით, მზითა და ჩრდილით. ჯერ ახალგაზრდა ვარ და ბევრ ადამიანს დავპირდი, რომ კიდევ გამოვცემ პოეტურ კრებულს, კიდევ შევქმნი საავტორო სიმღერებს და კიდევ მოვეფერები შვილიშვილებს. ცნობილმა დოკუმენტალისტმა ჰუმემა გადაილო ჩემზე დოკუმენტური ფილმი, რომლის პრემიერაც გაზაფხულზე იქნება ავსტრიაში და თბილისის კინოთეატრ „რუსთაველი“. ადამიანების თანადგომამ და ხალხის სიყვარულმა შეუძლებელი შემთხვევინა, მე სიცოცხლითა და სიყვარულით ვეპასუხები მთელ სამყაროს და ვადარებ, რომ ყველაზე მძიმე ჯვარიც კი ბუმბულივით მსუბუქია მაშინ, როცა სიყვარულის მიღება და გაცემა შეგიძლია.

„ჩემი მეუღლე 29 წლის წინათ თბილად დამემშვიდობა, გავიდა სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა, ვერც ცოცხალს მივაგენი და ვერც გარდაცვლილს“

ბრძოლისა და ძალისხმევის გარეშე, სიმღერის ნიჭი ჩემი დამსახურება არ გახლავთ, ეს ღვთისგან ბოძებული საჩუქარია, მე მხოლოდ მისი გაფრთხილება და მოვლა მმართებს. დავიბადე და გავიზარდე ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში, მოხდა ისე, რომ სამუსიკო სკოლაში ჩემი ნამღერი შეამჩნია და აღნიშნა ჩემმა პედაგოგმა მარინა კოლაშვილმა, თქვა, ეს ჩვეულებრივი ნამღერი არ არისო და სამუსიკო სასწავლებლის გუნდის ხელმძღვანელ პავლე დემურაშვილთან ნამიყვანა ნიჭის შესამოწმებლად. ბატონმა პავლემ მომიკიდა ხელი და თავის გუნდში სოლისტად ამიყვანა. გაუკვირდა, საიდან შემეძლო ასეთი სიზუსტით და ჩემელი ჩუქურთმის „ოროველასი“ და „გაიდიანეს“ შესრულება. ჩემი ყური გახედნილი იყო ჩვენი სოფლის ანსამბლის სოლისტის მირიან მაისურაძის სიმღერით, რომელთაც ხელმძღვანელობდა სიმღერის ნიჭით განთქმული ჩახუტაშვილი და სიბაშ-

მიხედვითაც ვითარდება ჩემი ანწყო და მომავალი, მაგრამ არც უგულვებელყოფ ასტროლოგიურ წინასწარმეტყველებებს, რომლის მიხედვითაც ყოველთვის ვიცოდი, რომ მექნებოდა წარმატებული შემოქმედებითი კარიერა და არასოდეს აენწყობოდა ჩემი პირადი ცხოვრება და ასეც მოხდა. ზოდიაქოს ნიშნით სასწორი ვარ, გარდა შემოქმედებისა, მაქვს საპასუხისმგებლო თანამდებობა, ვკურირებ კულტურასა და სპორტს კახეთში, მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების მიუხედავად, მარტო გავზარდე ჩემი ორი შვილი და დღესაც მარტო ვარ.

თუმცა თქვენს სიყვარულზე ლეგენდებს ჰყვებიან... — ასეც არის, მე დიდი სიყვარული და არაჩვეულებრივი ადამიანთან თანაცხოვრება მარგუნა ღმერთმა. ეს გახლავთ ჩემი მეუღლე ზურა სამადაშვილი, რომელიც 23

დროს, ოჯახში მქონდა ერთი კოვზი, რომელიც ჩემმა ბებიამ ხოდაშენის თავში მონასტრის ტყეში იპოვა სამკურნალო ბალახის მოთხრის დროს და ის კოვზი მე მაჩუქა. ეს აღმოჩნდა მე-4 საუკუნის ნივთი, მოქროვილი ვერცხლი იყო, რომლის ტარზე ოქროს შარავანდედით შემოსილი წმინდა გიორგი იყო ამოტვიფრული. სიზმარში გადავფერინე უფსკრულს, უფსკრულზე ჩალის მსგავსი მასალისგან ბენვის ხდი იყო გაბმული და ზედ ბავშვი იჯდა, ბრბო მომდევდა, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ძალიან მაღლა ვიყავი და ვერ მწვდებოდნენ. ხელში ბებუის ნაჩუქარი კოვზი მეჭირა, რომელიც მზის

იჯდა ციხეში. ბავშვს პირველად ვაჭამე თუ არა, კარი გაიღო და პირველ მნახველად ჩემი ძმა მომევილია, გაირკვა სიმართლე და გაათავისუფლეს, რასაც იმ წუთში ვნატრობდი. ამის მერე უკვე სასწაულებსაც ვაფუშინაურდი, მით უფრო, რომ ექიმები მარწმუნებდნენ, რომ მუცლით მკვდარ ბავშვს ვატარებდი და ოპერაციას გეგმავდნენ.

მე-4 საუკუნით დათარიღებული კოვზი, ალბათ, რელიქვიაა თქვენთვის და სინამდვილესთან აიგივებთ...

ეს კოვზი ისეთი სინამდვილე გახდა ჩემთვის ამ ხილვის შემდეგ, გადავწყვიტე, თეთრი გიორგის ტაძრისთვის შემეწირა, ახლა ეს სინამდვილე ითვლება და ზიარების დროს იყ-





თეორ ბალაძე
593 15-64-47



მართზე ძლივს ამოდის, სასადილოში მიდის, გავაჩერე და გავესაუბრე: **რაფიელ ასირიანი,**

91 წლის:

— სადილი არ მომწონს, მაგრამ რა უნდა ვქნათ, ისეთი ცუდი სასადილო, როგორიც

მუშავე მეტროპოლიტენში. ლენინის მოედანი, 26 კომისრისა და რუსთაველის მეტროსადგურები ავაშენე. ცოცხა არა ვარ, 50 წელი ვიმუშავე და ასეთი სადილი მაქვს.

— ამბობენ, უფასო სასა-

საქმლის ქაბა.

მოხუცი ქალი, რომელიც ლენინის ქუჩაზე ცხოვრობს, მხოლოდ უფასო სასადილოს საკვებით არსებობს, ისიც მართხვებულა.

ლენა სასტაროვი, 84 წლის:

პენსიას ვერ ავიღებ. უფასო სასადილოში პურს მაინც მაძლევენ.

— რამდენს გაძლევენ?
— 250 გრამს.
— გყოფნით?
— არ მყოფნის, მაგრამ რა ვქნა. შიმშილით სიკვდილს

დროს სიაში 750 იყო შევანული, აქედან მხოლოდ 250 უმწეო იღებდა საკვებს.

— დანარჩენი ადამიანების საკვებს ვინ ჭამდა?
— ყველა, გამგეობა და დირექტორი.
— ამყამად რამდენი უმწეოა

უფასო სასადილოებში უმწეოების სადილი იმდენად უხარისხოა, ცხოველსაც კი არ აკადრებენ, არათუ ადამიანს. საკვებს კალორიულობა გამოცლილი აქვს. წყალწყალა საჭმელს მწვანელი, ხახვი და ცხიმის საერთოდ არ აქვს. ყოველდღიურად რამდენი ლარია საკვებისთვის საკმარისი? ამის შესახებ ექსპერტები ხშირად დაობდნენ. თუმცა, რიმა ბერაძემ ამ საკითხს ბეჭედი დაუსვა. უფასო სასადილოში ერთი ადამიანის გამოკვებაზე მართლაც 1 ლარი და 18 თეთრი იხარჯება და მისი მტკიცებით, ეს თანხა სრულიადაც საკმარისია.

რა ხდება უმწეოთა სასადილოებში? ამის გასარკვევად „კვირის ქრონიკა“ უფასო სასადილოებს ესტუმრა.

მთაწმინდის რაიონის უფასო სასადილოში მივედი, ქალბატონი მაგიდასთან იჯდა და სიას წერდა. იქით მზარეულები უმწეოებს სადილით უმასპინძლებოდნენ. ქალბატონს გავესაუბრე, რომელსაც ჩემი მისვლა აშკარად არ ესამოვნა და დაიძაბა.

— რამდენი უმწეო სადილოს თქვენთან?

— 800-მდე, თუმცა, ამათ გარდა, ჩვენთან რეზერვში მყოფი ადამიანებიც სადილობენ. რეზერვში 90 კაცია, მათ სიის გარეშე ვაძლევთ საკვებს. ანუ თუ ძირითადი არ მოვა, მაშინ საკვებს რეზერვში მყოფს მივცემთ.

— რა თანხა იხარჯება ერთი უმწეოსთვის?

— ვერ გეტყვით, კედელზე წერია მენიუ...

— კალორიულობა თუ აქვს თქვენს კერძებს?

— რა თქმა უნდა, ძალიან გემრიელია და კალორიული.

— სახლში მიაქვთ?

— მრავალსულიანებს მიაქვთ, ყველას, ვინც აქ არ ჭამს.

— პურს რამდენს აძლევთ?

— 250 გრამს.

— დირექტორი სადაა?

— დღეს არაა.

— ქუჩიდან შემოსულ ადამიანებსაც აჭმევთ?

— როგორ არა, 10-20 კაცი მაინც შემოდის.

— საკვები თუ გრჩებათ?

— ზოგჯერ ერთი ან ორი თევში.

— თქვენ რა ფუნქციას ასრულებთ?

— თანამშრომელი ვარ, სიებს ვწერ, ხელისმომწერის გარეშე სადილი არ გაიცემა.

გადავწყვიტე, უმწეო ადამიანებს უფასო სასადილოს გარეთ გავსაუბრებოდი. შევამჩნიე, რალაცის თქმა უნდოდათ და ვერ ბედავდნენ.

მოხუცმა კუთვნილი ულუფა ჩანთაში ჩაალაგა და ეზოში გამოვიდა. მომიახლოვდა და საუბარი გამიბა:

— დაინახეთ, რა წყალწყალა საჭმელი იყო? რუსთაველზე, კინოს სახლში არის ერთი სასადილო, იქ მართლაც ყველაფერი გემრიელი და კალორიულია. აქ კი, მოვდივართ, ახლოსაა... გვმია, რა ვქნათ... — სინანულით ჩაილაპარაკა უმწეომ.

მოხუცი კაცი ჯოხით აღ-

რეპორტაჟი უფასო სასადილოდან

„ქათმის ბარკალს საშინელი სუნი ასდის. გუფთა წამოვიღე და გაშავდა რატომ არის ასე უგემური, ვერ გამიგია. ჩემი შვილი უფასო სასადილოს ქათმით მომეწამლა“



„84 წლის ვარ, მართხვებულა. მშიერი რომ არ დავრჩე, უფასო სასადილოში დავდივარ. პენსიდან წინასწარ კრედიტი გამოვიტანე. შვილიშვილი დამეღუპა და მისი დამარხვისთვის დავხარჯე“



უფასო სასადილოს მზარეული ანგელინა: „ამ 1 და 18 თეთრიდან 18 თეთრი მიაქვს გამგეობას მომსახურების თანხა, ხოლო 20 თეთრი — დღგ-ს. უმწეოებს რჩებათ 80 თეთრი. 80 თეთრად რა საჭმელი უნდა გააკეთო?“



მთაწმინდაზეა, არც ერთ რაიონში არ არის. დანერეთ ამაზე, ცოდვავა ხალხი, რომ ასეთ საჭმელს აჭმევენ. თუ ვინმე არ მოვა სასადილოში, მორჩენილ საჭმელს ყიდიან.

— ვისზე ყიდიან?

— მოდიან ვილაკები და ქათმებისთვის და ღორებისთვის მიაქვთ.

— თქვენ საიდან იცით?

— დავინახე.

— მართხვებულა ხართ?

— კი, მართლაც ვცხოვრობ, 91 წლისა ვარ. 50 წელი ვი-

დილოში, 1 და 18 თეთრად კალორიულ საკვებს იღებენ...

— ეგ ვინ თქვა? 1 ლარად და 18 თეთრად როგორ იქნება კალორიული, როცა ყველაფერი გაძვირდა, ან რა სადილია ეს? თუ არ გჯერათ, მოდით და გასინჯეთ. დანერეთ, დანერეთ, ცოდვავა ხალხი.

— რომ დაგინახონ, მესაუბრებით, პრობლემა შეგექმნება?

— დამინახონ, რა პრობლემა უნდა შეგექმნას? გვიშველეთ რამე, აღარ შეგვიძლია ამ

— როგორ მოგწონთ სადილი?

— სადილი? ხან მომწონს, ხან — არა. მაგრამ სხვა რა გზა მაქვს? 84 წლის ვარ, მართხვებულა. მშიერი რომ არ დავრჩე, უფასო სასადილოში დავდივარ. პენსიიდან წინასწარ კრედიტი გამოვიტანე. შვილიშვილი დამეღუპა და მისი დამარხვისთვის დავხარჯე.

— პენსიას აღარ იღებთ?

— არა, პროცენტები დამავისრეს და იმასაც პენსიიდან ვიხდი. თებერვლამდე

სჯობია.

მეორე უფასო სასადილოში მზარეული ჩავწერე. მთხოვა, ვინაობა არ გამეზილა. რადგანაც შესაძლოა, ამის გამო სამსახური დაკარგოს. მზარეული-ანგელინა:

— საკვებს უმწეოებს სიებით აძლევთ?

— რა თქმა უნდა, ის ვინც, 10 დღის განმავლობაში არ მოვა, სიიდან ამოვარდება.

— უფასო სასადილოებში სიებს გამგეობიდან აგზავნიან „ნაციონალური მოძრაობის“

სიაში?

— უმწეოთა სია 800 კაცამდე გაიზარდა. იმის შემდეგ, უფასო სასადილოებზე აუდიტის სამსახურის დასკვნა დაიდო, ცოტა გაამკაცრეს. მაგრამ დირექტორი მაინც გვამცირებინებს პროდუქტების წილს წყალში. პროდუქტებს ლიმიტირებულად გვიზიდვენ, ჩვენამდე რაც მოდის, სადილს იმით ვაკეთებთ.

— რამდენი ადამიანის სადილს აკეთებთ?

— ასე, 400 კაცის.



— ვინც არ მოდის?
 — თუ ვინმე არ მოვა, რჩე-
 ბა.
 — მორჩენილი საქმელი სად
 მიგაქვთ?
 — ზოგი ჩვენ მიგვაქვს,
 ზოგს გადავდვით.
 — დირექტორს მიაქვს
 აქედან საქმელი?
 — არა, დირექტორს პრო-
 დუქტები მიაქვს, ამ საქმელს
 არ შექვამს.
 — რა თანხა იხარჯება ერთი
 ადამიანის გამოკვებაზე?
 — როგორც გამგეობიდან

ვიცი, 1 და 18 თეთრი, აქედან
 18 თეთრი მიაქვს გამგეობას
 მომსახურების თანხა, ხოლო
 20 თეთრი — დღგ-ს. უმწიფეს
 რჩებათ 80 თეთრი. 80 თეთ-
 რად რა საქმელი უნდა გააკე-
 თო?
 — თავად თქვენ მოგწონთ ეს
 საქმელი?
 — არ მომწონს, მაგრამ რა
 გქნა, დირექტორი ყოველდღე
 მეუბნება, რომ საკმაოები და-
 ვაკლო. აბა, ცარიელ წყალზე
 ხომ არ დავამზადებთ სადი-

ლებს?
 — ვინ ამოწმებს უფასო სას-
 ადილოებს?
 — გამგეობიდან მოდიან
 ზოგჯერ. როცა შემოწმებაზე
 მოდიან, მაშინ გვეუბნებიან,
 რომ მეტი საკმაოები გავაკე-
 თოთ.
 მანანა, უმწიფე, 58 წლის:
 — უნეთა პროგრამაში
 ვარ. შაბათს 2 ცალ სოსისს და
 100 გრამი წინიბურას გვა-
 ძლევენ. 2 სულზე ერთ პურს

გვაძლევენ. კომპოტი ცარიელი
 წყალია. ქათმის ბარკალს
 საშინელი სუნი ადის. გუფთა
 ნამოვილე და გაშავდა. გაუგე-
 ბარია, რა ხორცი აკეთებენ.
 — კალორიულობა აქვს?
 — რა კალორიულობა უნდა
 ჰქონდეს, გასინჯეთ და თავად
 მიხედებით. ამ საკვებით და-
 ვადმყოფდებით. ბევრჯერ ნა-
 მოვილე და გადავაქციე. ვერ
 შევჭამე, გული ამერია.
 დალი, სოციალურად დაუცვე-

— რატომ არის ასე უგე-
 მური, ვერ გამოგია. ჩემი შვილი
 უფასო სასადილოს ქათმით
 მომენამლა.
 — მზარეულებს თუ უთხ-
 არით ამის შესახებ?
 — მზარეულებმა იუარეს,
 ჩვენი საქმელი არ მონამ-
 ლავდაო. ქათმის ბარკალი
 გაშავებული იყო. ის, ვინც
 უფასო სასადილოში დადის,
 კარგად იცის, ქათმის ბარკალს
 როგორც სუნი ადის. რა
 ვქნათ? გვმია და ხმას ვერ

ვიღებთ...
 აი, ეს არის ის რეალობა,
 რისი გაგებისთვისაც ერთი საათ-
 იც არ დამჭირდა. გაიარეთ, ქალ-
 ბატონო რიმა, ამ სასადილოებ-
 ში, ერთხელ მაინც გასინჯეთ ეს
 საქმელი და მერე ილაპარაკეთ
 ბრტყელ-ბრტყელად პარტიის
 სახელით. ეს ხალხი ამბობს, ამაზე
 უკეთესი რა შევა მაგათ ოჯახ-
 ებში... ხომ ხედავთ, ისე არიან
 გამწარებულნი, გინებიდან წყვე-
 ლაზე გადავიდნენ და ქვებსაც
 მალე დაგიშენენ!

ნანა სულავა
 599 07-01-89



26 ნოემბერს, ხუთშაბათს, დიდ დიღომში, 213-ე საბავშვო
 ბავა-ბაღში, საღამოს საათებში შვილების გამოსაყვანად მივიდ-
 ნენ ცოლ-ქმარი დენის პოპოვი და ელზა არზუმანიანი... გავრ-
 ცელებული ინფორმაციით, მამაკაცი იარაღით ყოფილა, თან
 ნასვამ მდგომარეობაში და შვილისთვის იარაღი მიუტია (გამომძი-
 ებლის დავით ტორაძის მონათხრობით, იარაღი ექს-
 პერტიზაზეაო, მან ვერაფერი მითხრა, ნამდვილი იყო თუ არა,
 თურმე პოლიცია იარაღს ვერ ცნობს!) —
 — მიდი, მამიკო, ესროლე იმას, ვინც გაბრაზებსო. ცხადია,
 ბავშვს არ უსვრია და ბავშვის აღმზრდელს სოფიკო ჭაბუკიანს
 ნასვამი მშობლისთვის შენიშვნა მიუტია, პედაგოგები დაბნეუ-
 ლან, მაგრამ ამის მეტი საბავშვო ბაღში აღარაფერი მომხდარა...
 მეორე დღეს პოლიციამ დენის პოპოვი აიყვანა. საბავშვო ბაღ-
 ის გამგე ნანა დედინაშვილი, რომელიც შვებულებაში იმყო-
 ვება, მეუბნება:
 — მაინცდამაინც იმ ინციდენტის დროს არ ვყოფილვარ ბაღ-
 ში, თორემ ყოველდღე დავდივარ სამსახურში. 25-წლიანი მუშაო-
 ბის გამოცდილება მაქვს, დენის პოპოვი მეორე დღეს საბავშვო

— ჩვენი საბავშვო ბაღის ერთი აღსაზრდელის მამიკამ, ნა-
 თია ნემდვიშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, — საბავშვო ბაღ-
 ში „ვილაცა რუსი პოპოვი“ იარაღიანი მისულაო... პოლიციამ
 „ფეისბუქიდან“ გაიგო და ატყდა ამბავი... თბილისი პატარა
 ქალაქია, როგორც შევიტყვე, 29 წლის მამა პედაგოგის ოჯახ-
 შია აღზრდილი, მამამისი კადეტთა კორპუსის საუკეთესო ავ-
 ტორიტეტის მქონე მასწავლებელი ყოფილა... დედა კი ნატაშა
 და რამაზ ჩხიკვაძეებთან მუშაობდა მთელი სიცოცხლე... ის „ვი-
 ლაც რუსი“ არ არის და სირცხვილია, ასეთი იარაღიებით ვინ-
 სენიებდეთ თანაქალაქელებს, რომელთა შვილები ჩვენს საბავშ-
 ვო ბაღებში ზოგჯერ ერთი თოჯინით, ერთი ტყრქვეშ თამა-
 შობენ... მინდა მათ მივმართო: თქვენ არ გითამაშიათ ერთი
 თოჯინით, რა შუაშია ამგვარი დისკრიმინაცია?! ასეთი რამ
 მხოლოდ საქმეს აფუჭებს და წვეთ-წვეთობით იკინძება
 შემდგომში უკვე დიდი ბრალდებები...
 როგორც თავშივე გითხარით, გამოძიებელი დავით ტორაძე
 ამბობს, რომ იარაღი ექსპერტიზას აქვს გადაცემული, რის გამოც
 უბრალოდ, ვერ მითხრა, იარაღი ნამდვილი იყო თუ არა აბა,
 საბავშვო ბაღის დაბნეული პედაგოგები როგორღა გაერკვნენ, იარ-
 ალი ნამდვილი იყო თუ არა?!

კვირის ბეღია-ქრონიკა კვირის ბეღია-ქრონიკა კვირის ბეღია-

**სძინავს პატრულს, კაცო? 10
 მანქანის გაქურდვა რა ამბავია,
 როგელი ჰქონდათ?!**

ნ ა ძ ა ლ ა დ ე ვ ი ს
 რაიონში ათამდე ავ-
 ტომობილი გაქურდეს.
 შემთხვევა პარასკევს
 მოხდა. არსებული ინ-
 ფ ო რ მ ა ც ი ი თ ,
 მძარცველებმა მხ-
 როლოდ ავტომობილებ-
 ის სამარკო ნიშნები
 წაიღეს.
 შს-ს პრესსამსახ-
 ურში განაცხადეს,
 რომ ფაქტზე გამოძიება 177-ე — ქურდობის მუხლით მიმდინარ-
 ეობს. (ნიუპოსტი)



მაშინ რას გულისხმობდა ალექსანდრე ჭიკაიძე, არ ვიცი, მაგრამ ახლა კი ფაქტია, კრიმინალი შესანიშნავ მდგომარეობა-შია, ბატონებო, გადასარეც და აყვავებულ მდგომარეობაში...

**ცივი იარაღით გულ-მკერდის
 არეში მიყენებული მრავლობითი
 ჭრილობა — რის გამო დაჭრეს
 ლექტორი**

15 ნოემბერს, ვერაზე,
 სტუდო „კამპუსის“ დირექ-
 ტორი მიხეილ ხუნდაძე
 დაჭრეს. ინციდენტი „კამპუ-
 სის“ ორგანიზებით მოწყო-
 ბილ საჯარო ლექციაზე
 მოხდა, რომელიც მილორა-
 ვას ქუჩაზე მდებარე ერთ-
 ერთ ბინაში ტარდებოდა.
 სტუდო „კამპუსი“ დირექ-
 ტორზე თავდასხმის შემდეგ მისამართს იცვლის — ამის შესახებ
 განცხადებას „კამპუსი სოციალურ ქსელში ავრცელებს“.
 — მოგესხნებათ, „კამპუსი“ არის ბიბლიოთეკა, თავისუფალი
 სახელოვნებო-საგანმანათლებლო სივრცე. მისი ფორმატი
 ითავსებს საჯარო ლექციებს და სხვადასხვა სახელოვნებო აქ-
 ტივობებს. „კამპუსის“ ატმოსფეროს სტუდენტები და პროფე-
 სიონალები ერთობლივად ქმნიან.
 „კამპუსი“ მდებარეობს ვერაზე, მილორავას ქ. №8ა-ში, ბე-
 ლინსკისა და არაგვის ქუჩებს შორის. კვირა საღამოს, 15 ნოემ-
 ბერს „კამპუსში“ მოხდა არასასიამოვნო ინციდენტი. როგორც
 ჩანს, „უბანში“ არსებული სოციალური გარემო არ აღმოჩნდა
 მზად, მიეღო მსგავსი ტიპის სივრცე. არატოლერანტული დამოკ-
 იდებულება გადაიზარდა აგრესიაში, რასაც მოჰყვა ფიზიკური
 ანგარიშსწორება. ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში მძიმე
 დაზიანება მიიღო „კამპუსის“ დირექტორმა მიხეილ ხუნდაძემ.
 საუბედნიეროდ, მიზა გადარჩა და მძიმე ოპერაციის შემდეგ რე-
 აბილიტაციის პროცესში იმყოფება. უნდა აღინიშნოს, რომ „კამ-
 პუსი“ მომხდარს განიხილავს, როგორც მიზანმიმართულ დის-
 კრიმინაციას და ძალადობას ზოგადად მსგავსი ნიშნის მატარე-
 ბელი ნებისმიერი თავისუფალი სივრცის წინააღმდეგ. ვფიქრობთ,
 რომ აღნიშნული ინციდენტი არა მხოლოდ ერთი „უბნის“, არამედ
 საზოგადოების პრობლემაა. „კამპუსი“ აცნობიერებს, რომ ის
 მახინჯი, იდეოლოგიზებული ინტერპრეტაციის მსხვერპლია,
 რომლის უკან „სოციალური ნორმის“ დამცველი მოძალადე დის-
 კური დგას.



მიუხედავად „უბანში“ არსებული ნეგატიური განწყობისა,
 უნდა აღინიშნოს, რომ „უბნელი“ ახალგაზრდობის კეთილგანწყ-
 ობილი ნაწილი დაინტერესებული იყო ჩვენი საქმიანობით და
 აქტიურად ერთვებოდა მუშაობის პროცესში.
 „კამპუსი“ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაცნობიერებულად
 წყვეტს ფუნქციონირებას.
 ამჟამად ჩვენ ალტერნატიული სივრცის ძიების პროცესში
 ვიმყოფებით, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში. (სარედაქ-
 რალი)



ვინ არის „ვილას რუსი“, როგელი საბავშვო ბაღში იარაღით მივიდა?

ბაღში უნდა დამებარებინა, გამაფრთხილებელი ხელწერილი რომ
 დაეწერა და საბავშვო ბაღს საერთოდ არ გაჰკარებოდა, მეორე
 დღეს კი ვითარება კარდინალურად შეიცვალა, საინფორმაციო
 არხებზე ერთმანეთის მიყოლებით გავრცელდა ინფორმაციები
 საბავშვო ბაღში მომხდარი ინციდენტის შესახებ... არ მახსოვს,
 პოპოვების ოჯახიდან რაიმე სახის აგრესიას ჰქონოდა ადგილი,
 ოჯახში სამი მცირეწლოვანი ბავშვი იზრდება, მართალია, დენი-
 სი ძალიან ცუდად მოიქცა, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ოჯახს, მის
 მეუღლესა და ბავშვებს მხარში სხვათაირი ამოდგომა სჭირდე-
 ბოდა და არა პროვოკაციული გამოსხობა ამერიკიდან.
 — ამერიკა რა შუაშია?


ბაღის გამგე ნანა დედინაშვილი აღმოთქმული ამბობდა,
 რომ ბავშვებს ნასვამ მშობელს ისედაც არ ვატანთ, უცხო ად-
 ამიანს ხომ საერთოდ გამორიცხულია, ბავშვი გავაყვლოთ.
 ბაღში ხომ დედაც იყო... რა ვქნათ, მშობლები გაეჩხრიკოთ?!
 ლამის 10 საათამდე დაკითხვაზე ვიყავი, დაკითხვებზე სხვა პე-
 აგოგებიც... დაიბნენ... რადგან ეს ინციდენტი მშვიდობიანად
 დასრულდა, მოვალეობის შემსრულებელმა ნარგიზ წილოსან-
 მა საჭიროდ არ ჩათვალა, პოლიციისთვის შეეტყობინებინა...
 შევეცადე, პოპოვების ოჯახს დავავაშირებოდი, მაგრამ ამოღ-
 ოჯახის ყველა წევრს მობილური გამოართული ჰქონდა.



ნაპროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

მშობლების მიტოვებისთვის, შეიღებ ცისეში ჩასვამენ!

„მშობლის ამავს მამინაც ვერ გადაიხდი, ხელისგულზე ერობოკვერცხი რომ შეუნვაო“, – გაგონილი გეგნებათ ეს გამოთქმა და ალბათ, ეთანხმებით კიდევ, თუმცა, სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფრთიან გამოთქმებს კი არა, საკუთარ მშობლებს არ აქცევენ ყურადღებას და სწორედ ასეთების დასჯა გადწყვიტეს ინდოეთის დედაქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლებმა.



როგორც ირკვევა, დელის ადმინისტრაციამ ახალი კანონი მიიღო, რომლის ძალითაც, ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელიც მოხუცებული მშობლებისთვის ყურადღების მიქცევაზე უარს იტყვის, ცისეში ყურყუტი მოუნევეს.

ალსანიშნავია, რომ ასეთ ახალგაზრდებს ინდუსები საჯაროდ, ქალაქის ცენტრში ალმართულ სპეციალურ ადგილას დასჯიან და საქვეყნოდ შეარცხვენენ.

ამ დროისთვის, დელიში უკვე ცხრა ასეთი ტრიბუნალია გამოყოფილი. – შეიღები, რომლებიც მშობლებს უყურადღებოდ მიაგებენ, აუცილებლად უნდა დაისაჯონ, დასჯილების მაგალითით კი მსგავსი სურვილი აღარავის გაუნდება, – ამბობენ კანონის ავტორები.

რამდენწლიანი პატიმრობა ელის მშობლის მიტოვებისთვის უძღებ შვილს, არ ზუსტდება.

მომზადდა მიხეილ სახავაძემ

vesti.ru

ინტერნეტის ფოტოკოლაჟი



ვაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ურუნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 577 435 553
„კვირის ქრონიკის“ რედაქტორი მანანა გიორგაძე ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

მეცნიერებმა სპორტის ყველაზე სასარგებლო სახეობა დაასახელეს

ზოგადად, სპორტული ცხოვრება რომ ძალიან სასარგებლო და აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, ალბათ, დაგვეთანხმებით, არა? მაგრამ მაინც, არ გაინტერესებთ, რომელია სასარგებლოებიდან ყველაზე სასარგებლო?



ამერიკელმა მეცნიერებმა ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა სახეობის სპორტის გავლენა შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ ყველაზე სასარგებლო ჩოგბურთია. აი, დასკვნები, რომლებიც კომპეტენტურ ადამიანებს თავიანთი სიტყვების გასამყარებლად მოჰყავდა: – ჩოგბურთი ხსნის დაძაბულობას, დაბნეულობას, დეპრესიას, სიბრაზეს, მღელვარებას; – სპორტის ეს სახეობა იწვევს ენერჯის მოზღვაებას და ადამიანს ოპტიმიზმით ავსებს; – კვირის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ 3-საათიანი ვარჯიში დიდ ჩოგბურთში მნიშვნელოვნად ამცირებს მძიმე დაავადებების გაჩენის და უეცარი გარდაცვალების რისკს; – დაბოლოს, მამაკაცებს შეუძლიათ, კორტზე თეთრ მოკლე კაბებში გამოიყვებოდნენ გოგონებს შეხედნენ, რაც სპორტის სხვა სახეობებში არ ხდება.

dr20.ru

შიშები სიცოცხლის ხანგრძლივობას 6 წლით ამოკლებსო



კი, ბატონო, მართალია, არ უნდა გვეშინოდეს არაფრის, მამაცები და გულადები უნდა ვიყოთ, მაგრამ... ფობიები და მღელვარება ნაადრევი სიბერისა და სიცოცხლის შემოკლების მიზეზებად დაასახელეს. დასკვნა ისრაელის ქალთა ერთ-ერთი ჰოსპიტალის სპეციალისტებს ეკუთვნით.

მედიკოსებმა 5 ათასი ქალის სისხლის ნიმუშები შეისწავლეს, რომელთა ასაკი 42-დან 69 წლამდე მერყეობდა.

პირველ რიგში, თითოეულმა მონაწილემ გულახდილად აღიარა, ჰქონდა თუ არა რაიმე ფობია. შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფობიური მღელვარება უარყოფითად მოქმედებს უფრედულ დონეზე. გაირკვა, რომ ქალებს, რომლებიც მუდმივად განიცდიან უმიზეზო შიშებს, დამოკლებული აქვთ ტელომერები – ადამიანის გენეტიკურ მასალაში არსებული მცირე ზომის ფრაგმენტები, რომლებიც დაბერების პროცესზე აგებენ პასუხს.

ექსპერიმენტების შედეგად ისიც დამტკიცდა, რომ ფობიის მქონე და არმქონე ქალების ტელომერების ზომების სხვაობა 6 წლის ეკვივალენტურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შიშები სიცოცხლის ხანგრძლივობას, საშუალოდ, 6 წლით ამოკლებს.

podbornosti.ua

მომზადდა მიხეილ სახავაძემ

შ.პ.ს. „ვაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
რედაქტორი: მანანა გიორგაძე
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახავაძე
ფონისმეწვერი – ტატია პარიბაძე
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია შაბაძე
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანათიშვილი

გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ჯიშორი უფლებების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

ISSN 2296-0016
UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754
რედაქციის მისამართი: ალექსიძის ქ. 1, კვარტალი 80-4 კორპ. 1 | საბითუმო (კაბინების ძირზე) 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 22.11

სარეკლამო სამსახური
2-333-170
577-444-442
მიხეილ სახავაძე
21 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
©-ით, ან ი-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.